საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1087-03
09/08/2024

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024–2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N971-03 18/07/2024 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა: “ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის ბაზაზე. გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს, თეატრის ადმინისტრაციის რესურსები სრულად უნდა მოხმარდეს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა არსებულ კონტინგენტს, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2024–2025 სასწავლო წლისთვის აღნიშნულ პროგრამაზე გამოცხადებული მიღების გაუქმება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 62-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 9 აგვისტოს N 14054-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის N971-03 18/07/2024 ბრძანების:
   1.1 პირველ პუნქტში, კერძოდ, უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის ბრძანების დანართში მითითებული პროგრამების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას სამაგისტრო პროგრამა: “ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ და ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
   1.2 მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   ,,2. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა, ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2024 წლის 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით, შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters“

2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი რექტორის N971-03 18/07/2024 ბრძანების მე-3 პუნქტი.
3. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ძალადაკარგულად ცნოს ,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ “ სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის,

საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ N984-03, 22/07/2024 2024-2025 ბრძანება.

4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი